ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3926959

ნომერი: AR1590053

თარიღი : 31.03.2018

გაცემის თარიღი : 24.04.2018

გაცნობის თარიღი : 24.04.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთი N1/29);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გვასალია პ/ნ 42001005607
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 1 ბ. 56

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 31 მარტის №AR1590053 განცხადება, რომლითაც ითხოვთ 2018 წლის 16 თებერვლის №3826294 ბრძანებაში ცვლილების შეტანას.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2018 წლის 16 თებერვლის №3826294 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი- გლდანი, მუხიანის საცხოვრებელ რაიონში, შ.პ.ს. ,,დარიალი“-ს მიმდებარედ, (ნაკვეთი N1/29) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.13.001.071), მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3878525 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, მუხიანის საცხოვრებელ რაიონში, შ.პ.ს. ,,დარიალი“-ს მიმდებარედ, (ნაკვეთი N1/29) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.13.001.071), მრავალფუნქციური კომპლექსის შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 23 მარტიდან 2019 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი ითხოვს 2018 წლის 16 თებერვლის №3826294 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 31 მარტის №AR1590053 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმების მიხედვით, შენობის კონსტრუქციული ნაწილი იცვლება -2.90 ნიშნულზე.
შესაბამისად, თქვენ მიერ მოთხოვნილი 2018 წლის 16 თებერვლის №3826294 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების, (ავტოსადგომის სართულის გეგმები -2.90 ნიშნულზე) ჩანაცვლება არ წარმოადგენს ბრძანებაში ცვლილების შეტანის სამართლებრივ საფუძველს და საჭიროებს პროექტის კორექტირებას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. სამსახურს უნდა მომართოთ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილების (კორექტირების) მოთხოვნით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.